საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლ

წელიწადი პირველი

ფასი 2 კაპ.

რედაქციის [illegible] გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

# ახალი დროება

თფილისი, შაბათი 11 მარტი (24) 1906 წ.

№ 7. ყოველ-დღიური გაზეთი. № 7.

თავ. მინგრელსკი ადმინისტრატიულის წესით ზარალს ახდევინებს გლეხებს.—პოლიტიკურ დამნაშავეების ბედის გადაწყვეტა სამხედრო სასამართლოს გადაეცა.—ქალ. სამარაში გაიტაცეს 38,000 მანეთი.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ვეძებთ ოთხ მარჯვე ყმაწვილს, რომლებსაც დაევალება გაზეთების გასყიდვა. მოსალაპარაკებლათ მოვიდნენ „ახალი დროების" რედაქციაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

## „ახალი დროება"

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წლიურად 5 მან., 6 თვით 3 მან., ცალკე № 2 კაპ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება:

**თფილისში:** რედაქციის კანტორაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

**ქუთაისში:** „კოლხიდა"-ს ამხანაგობაში, ტრიფონ დამბაშიძესთან

**ბათუმში:** „გეორგია"-ს ამხანაგობაში.

**ბაქოში:** ბ-ნ პლატონ დ. გელოვანთან, ნიკნე-პრიუტის ქუჩა, №39.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდე.

დიდით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში.

კვირას 12 მარტს 1906 წ. ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

✦ ვლ. სარ. ალექსი მესხიშვილის საბენეფისოთ ✦

წარმოდგენილი იქნება:

## შემოსავლიანი ადგილი

კომ. 5 მ. ოსტროვსკისა თარ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი.—ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ურუშაძე, მუმლაძე ქივიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

შეგირდებისათვის ადგილები განსაკუთრებით ბალკონის მესამე და მეოთხე იარუსში 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენათ „პირველი მეცხალი ხალხი".

რეჟისორი გ. ალექსი-მესხიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის

## ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საშირდ. ავადმ.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახევ.—10 საათ-[...]ვალისა. შინაგანი და ნერვების ავადმყ.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. სა-[...]ბიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობ.

მ. გ. ავეტისიანი: 11—12 ს. კანისა, [...]ფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

ძ. ი. მძელიშვილი: 11— ს. ყური-[...]ა. ცხვირისა. და ყელის ავადმყოფობანი.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1 ნახევ. ს [...]ინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

ა. ი. შჩირბინინა: 1 ნახ.—2 ს. სა-[...]ბიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფ.

მ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და [...]ბებიო ავადმყოფობანი.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. მ. პუგინოვი: 5—6 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ნ. გ. აბიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7 ნახ. ს. რჩევა დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი ყ. მ. ჩიქოვანი

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ლ. ლ. ბახტაძე

გადავიდა გრიბოედოვის ქუჩაზე სახლი № 5.

## რუსეთის ქონებრივი გაჭირვება და სათათბირო („დუმა").

რუსეთს აუარებელი ხარჯი სჭირდება ჯარისა და ჩინოვნიკებისათვის. და რადგან ეს უზარ-მაზარი იმპერია მრეწველობითა და სიმდიდრით ბევრით ჩამოუვარდება ევროპის პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოებს, ხალხის ჯიბემ და მუცელმა ვეღარ აიტანა მძიმე ტვირთი, დიდი გადასახადები, და სახელმწიფო იძულებული გახდა კოტრიდ გამოეცხადებია თავი.

ძველი და ახალი მინისტრები მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, რომ გაყვლეფილი ხალხი, რაც შეიძლება უფრო და უფრო ეყვლიფათ, ამ წანაგლეჯი ფულით ხაზინა აევსოთ, ჩინოსნები დაეჯილდოებიათ დიდი ჯამაგირებით და ამგვარად იოლათ წასულიყვნენ. თუ ხაზინის შემოსავალი უდრიდა ხარჯს, გასავალს, კმაყოფილნი იყვნენ და აცხადებდენ, ხაზინაში მიტომ იკრიფება ბევრი ფული, რომ ხალხი მდიდარიაო. ტყვილა უმტკიცებდენ პუბლიცისტები მინისტრებს, რომ ეს შემცდარი აზრია, რომ, თუ ხაზინაში ბევრ ფულს აგროვებთ, თუ აუტანელი გადასახადებით ბეგრავთ ხალხს, ეს იმას არ ამტკიცებს, ვითომ ხალხი მდიდარი იყოს; პირიქით, ხალხს ტყავი გასძვრა, გაღატაკდა, დაიმშა ხორციელად და სულიერადო. მინისტრები მაინც თავისას არ იშლიდენ.

მერე იცით, როგორ იხარჯებოდა ტანჯული ხალხის ზურგზე ამძვრალი ფული?! აძლევდენ დიდ ჩინოსნებს და გენერლებს ასი და ორასი ათასობით. ფლანგავდენ „დიდი-კაცები" უანგარიშოდ. უბრალო ჯარის-კაცს კი შიოდა და შია დღესაც. იპარავდენ ხაზინის ფულს და ერთი ათად უჯდებოდათ ყოველგვარი სამხედრო იარაღი და მასალა. არ უვარგათ თოფ-ზარბაზნები, არ უვარგათ ყუმბარა, დღემდის არ ქონდათ ტყვიის-მფრქვეველნი, სამხედრო გემების მაგიერ ქონდათ ძველი ზანდუკები.

არ ემეტებოდათ ფული სწავლა-განათლებისათვის. სახალხო შკოლებზე არა იხარჯებოდარა. ხალხი უმეცრებაში იყო ჩაფლული. საშუალო სასწავლებლებზე და უნივერსიტეტებზე იხარჯებოდა რაღაც გროშები იმასთან შედარებით, რაც დიდ ჩინოსნებს მიქონდათ.

ეშინოდათ განათლების, სწავლის. განათლება აფხიზლებს, თვალს უხელს ხალხს. საშუალო სასწავლებლებში სჩაგრავდენ და აბეჩავებდენ შეგირდებს, არა თუ ასწავლიდენ რასმე. უნივერსიტეტებიც ისე დაამახინჯეს, რომ ყაზარმებს დაამსგავსეს. თუ რომელსამე სტუდენტს შეატყობდენ, რომ კიდევ შერჩენოდა სიყმაწვილის ძალა და არ იყო გალახული, დაიჭერდენ და ან ციხეში ამოალპობდენ, ან ციმბირში უკრავდენ თავს, ან ჩამოახრჩობდენ. ამგვარად სპობდენ ძალ-ღონით სავსე და ნიჭიერ ახალ-გაზდობას. ხელს არ ახლებდენ მხოლოდ უენერგიო და უნიჭოებს. მეცნიერებას მოექცენ სათავეში უნიჭოები.

ხსენებულ მიზეზთა გამო რუსეთში მეცნიერება და ხელოვნება არ აყვავდა. სადაც მეცნიერება არ არის განვითარებული, იქ ტეხნიკაც დაბლა დგას. რუსეთის ინჟენერ—ტეხნიკოსები არ ვარგან, ახალი ვერა გამოიგონეს-რა. მრეწველობა ვერ განვითარდა. მრეწველობის ზრდას ხელს უშლის კიდევ უბრალო მუშების გაუნათლებლობ.

რუსეთის ხალხი დამშეულია. არსად არ იხოცება იმდენ კაცის-სული, რამდენიც რუსეთში. რუსის გლეხს პურიც კი არა აქვს საყოფი, თვარა ხორცს ვინ დაეძებს, ამგვარია რუსეთის სახელმწიფო.

ეს დამშეული, ღარიბი და გაუნათლებელი ხალხი შეება განათლებულ პატარა იაპონიას და საშინლად იქმნა დამარცხებული. ცხადი შეიქმნა, რომ მარტო ხაზინის ფული არ კმარებულა დიდი ომის გადასახდელად. ამისთვის საჭიროა ხალხის სიმდიდრე, განათლება, კეთილ-სინდისიერება, ჩინოსნების პასუხის-მგებლობა ხალხის წინაშე და სხვადასხვა. არცერთი ეს ღირსება არ მოეპოვებოდა რუსეთს, არცერთი არ აკლდა იაპონიას. და ამ გარემოების საშინელ ნაყოფს უკვე განვიცდით...

ბურბონების არ იყოს, მთავრობამ ყველაფერი დაივიწყა, ვერაფერი ვერ ისწავლა. მთავრობას არ სჯერა, რომ მიზეზი სამარცხვინო დამარცხებისა უკან ჩამორჩენილობა იყოს და ისევ ძველებურ გზას ადგია, ეურჩება სახელმწიფო წეს-წყობილების განახლებას. ცეცხლითა და მახვილით სურს ჩააქროს საზოგადო მოძრაობა. მართალია, მან მოუწოდა სახელმწიფო სათათბიროში რჩევის საკითხავად მდიდრების წარმომადგენლებს, მაგრამ სათათბიროს არ ექმნება არავითარი საკანონმდებლო უფლება და მთავრობა არ იქნება პასუხის მგებელი მის წინაშე.

ვინ გაიმარჯვებს? დღევანდელი მთავრობა თუ სათათბირო?

როგორც ვთქვით, დღეს რუსეთის სახელმწიფო საშინელ გაჭირვებაშია. ყოფა თუ არ ყოფა, ეს საკითხი ადგია კარს. ომისა და გაფიცვების გამო მრეწველობა და ვაჭრობა ძირს დაეცა. 28 გუბერნიის 55 მილიონი ხალხი დამშეულია. მთავრობა იძულებულია უცხოეთის მსესხებლებს გაუგზავნოს აუარებელი ვალი ოქროთი. შინ ქაღალდის ფული 50 მილიონი მანეთით აღემატება ოქროსას. პატარა ხან კიდევ და ქაღალდის ფულის ფასი დავარდება. ამას კი მოყვება საშინელი არევ-დარევა, კრიზისი ვაჭრობა-მრეწველობაში. მთავრობას სჭირდება სულ მცირე ათასი მილლიონი მანეთი სესხი, რომ გამოვიდეს გაჭირვებულ მდგომარეობიდან.

უცხოელი კაპიტალისტები ვერ ბედავენ ფულის მიცემას სესხად, რადგან ეშინიათ, ვაი თუ გაღარიბებულმა რუსეთმა ვალი ველარ გაისტუმროსო. თუ ცხოვრება ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, სათათბიროს მიენიჭება საკანონმდებლო უფლება, ხალხიც ცოტათი მაინ იქნება მონაწილე კანონ-მდებლობაში, მთავრობა პასუხის მგებელი იქნება, მაშინ კი რუსეთი იშოვის სესხს.

მაშასადამე, თუ მთავრობამ სესხი ვერ იშოვა, სახელმწიფო დაიშლება. თუ უნდათ სესხი იშოვონ, რუსეთშიაც ევროპიული პარლამენტი უნდა დაწესდეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რაც უნდა მდიდარი-ჩინოსნები იქნენ არჩეული სათათბიროში, ახლანდელ მთავრობაზე მეტ შორს-მჭვრეტელობას გამოიჩენენ და აიძულებენ მთავრობას დაუთმოს საზოგადოებას. თუ სათათბიროში ღირსეული დეპუტატები არ იქნენ, მაშინ კვლავ გაგრძელდება მღელვარება, რევოლიუცია. ერთი სიტყვით, ახლანდელი მოძრაობა უთუოდ კონსტიტუციით დაბოლოვდება, უთუოდ შეზღუდულ იქმნება მთავრობის უფლება, ე. ი. მთავრობა პასუხის-მგებელი შეიქნება პარლამენტის წინაშე. ეს აუცილებელია.

რას უნდა მოველოდეთ ჩვენ რუსეთის პარლამენტისაგან? უნდა ვიცოდეთ, რომ რუსი საზოგადოდ გამსჭვალულია ცენტრალიზმით. პარლამენტში უპირატესობას დაიტოვებს გაბატონებული ერი. რუსეთის პარლამენტი, მართალია, მოგვცემს ნებას ვისწავლოთ ჩვენს ენაზე, მოგვცემს საერო თვით-მართველობას და სხ., მაგრამ ვერ გარდაწყვეტს ვერც ერთ ძირითად საკითხს, ვერც სადგილ-მამულოს, ვერც სამრეწველოს. ქართველ ერს, აგრეთვე სხვებსაც, —მხოლოდ მაშინ აეხსნება ზურგზე მძიმე ტვირთი, მისი სულიერი ძალა მხოლოდ მაშინ გამოიღებს შესაფერ ნაყოფს, უდიდეს სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს მხოლოდ მაშინ გადასწყვეტს, ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ განახორციელებს ძმობისა, ერთობის და თანასწორობის პრინციპს, როდესაც ექმნება სრული ავტონომია.

---

### ბ ა ქ ვ რ ი თ. *)

შენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი ჩვენი „სოციალ-დემოკრატები" თავისი ქცევით ინგლისის სტიურტებს და საფრანგეთის ბურბონებს მაგონებენ. ამათაც იმათსავით „არც არა დაივიწყეს და ვერც არა ისწავლეს რა" როგორც ეტყობა მათთვის არ არსებობს არც ცხოვრების გამოცდილება, არც ისტორიის გაკვეთილები. ხოლო რა გაკვეთილებიც მისცა რუსეთის და კერძოთ საქართველოს ცხოვრებამ ამ ბოლო ხანებში, ეს მაგათ ვგონებთ, ჩვენზე კარგათ უნდა იცოდენ. თითქმის მთელი წელიწადის განმავლობაში გაბმულმა შეუწყვეტელმა გაფიცვებმა შეაფერხეს მრეწველობის განვითარება, დაეცა ვაჭრობა, რის გამო მრავალი მუშა ხალხი დარჩა უსაქმოთ, ულუკმაპუროთ. განუწყვეტელმა ყვირილმა აჯანყებაზე, როდესაც იარაღი სრულებითაც არ გააჩნდათ თურმე, შემდეგად ის მოიტანა, რომ თითქმის მთელი საქართველო გააფთრებულმა ბიუროკრატიამ ნაცრათ აქცია. იმერეთიდან ჩამოსულნი ლაპარაკობენ, რომ გაზეთებში მისი მეათედიც არ არის დაწერილი, რაც გადახდა და კიდევ ხდება ჩვენ მრავალტანჯულ ერს. დაბა-სოფელ-ქალაქები დანგრეულია, რაც სარჩო საბადებელი ებადათ, ძლევამოსილ „დამსჯელებს" მიაქვთ, ცხოვრების ყოველივე სახსარს მოკლებულმა გლეხმა არ იცის რითი უშველოს თავს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ტყეებში იმალება, მთებში იხიზნება.

ყველა ქართველი, ყველა პატიოსანი მოქალაქე, ვისაც კი სურს წარმატება თავის ერისა, ახლა იმის ფიქრსა და ზრუნვაში უნდა იყოს, რომ რამე სახსარი აჩვენოს ხალხს ამ უბედურობისაგან თავის დახწევისა, რამე მალამო დაადოს ხალხის პირველ შეხედვით უკურნებელ წყლულს. ხოლო თუ ეს ზრუნვა მოვალეობაა ყოველის შეგნებულის ქართველისა, მით უფრო მართებთ ეს ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს და ნამეტნავად სოციალდემოკრატიას, რომელსაც ხალხზე ზრუნვა თავის დროშაზე უწერია. ამ პარტიასაც ჰქონდა დრო, როდესაც მთელი ხალხი, თვით ბურჟუაზიული კლასებიც კი, ამოუდგნენ გვერდში და სასოებით შემცქერალნი ამ პარტიისაგან მოელოდნენ ხსნას ბიუროკრატიის ბრჭყალებისაგან. მაგრ[ამ] ერთი დრო არავის შერჩენია... [ნ]ათქვამია. არ შერჩა ეს დრო ს[ოც]იალდემოკრატიასაც.

აღფრთოვანებულმა ოქტომბ[რის] მართლაც და დიდებულ გაფიცვ[ის] გამარჯვებით, იმ გაფიცვისა რომ[ლ]ისაც, პლეხანოვის სიტყვის [თანახმად?] იყოს, *) მთელი რუსეთი თან[უ]გრძნობდა პოლიციისა და დახ[ავსებულ?] ბულ რეაქციონერების გარდა, ს[ოცი]ალდემოკრატიამ ამაყად აღიმაღ[ლა] თავი და საყოველთაო გაფიცვა [დ]ამოაცხადა ერთად-ერთ ძლიერ [ია]რაღად, რომელსაც შეუძლიან [ე]თის დაკვრით მოსპოს ხალხის [მტ]ერობა. დაივიწყა ამსტერდამის კო[ნ]გრესის და საერთაშორისო ს[ო]ციალდემოკრატიულ ლიტერატურ[ის] გაფრთხილება, რომ საყოველთა[ო] გაფიცვა ორპირი იარაღია, რომ [თუ] ჩაიშალა, მაშინ ის ქამანდი ხე[ლ]ში გაბატონებულ კლასების ხელში [ა]მ ხალხისთვის ყელში წასაჭერათ. [...] დიახ, ეს დაივიწყა სოციალ-დემო[კ]რატიამ, და გაფიცვა გაფიცვა[ზე] გამოაცხადა.

მესამე გაფიცვის ჩაშლამ და მ[ო]სკოვის აჯანყების დამარცხებამ [ა]დასცა სოციალდემოკრატიის ავტ[ო]რიტეტი, რომ ინტელიგენციაზე [რომ] არა ვთქვათ რა, რომელიც სოციალ-დემოკრატიის უტაქტო ქცევ[ამ] პირველ გაფიცვის შემდეგ[ვე] ჩამოშ[ო]რდა მას, ხალხში სრულებით დაეკა[რ]გა ნდობა და ბოლო დროს საქმე იქა[მ]დე მივიდა, რომ დასავლეთ საქართველოში, რომელიც სამართლიანა[დ] ამ პარტიის სამეფოდ ითვლებოდა, სო[ფ]ლებში აღარ უშვებენ სოციალ-დე[მ]ოკრატებს და ვისაც კი მოახელე[ბენ] მთავრობის აგენტებს გადასცეს.

რასაკვირველია, ეს ყველაფერ[ი]...

*) ამ წერილში აღძრულ საგნის შესახებ რედქაცია თავის აზრს გამოთქვამს.

რედ.

*) Г. В. Плехановъ. «Дневникъ со[]ціалъ-демократа», № 4, стр. 9.

**) იხ. რობერტ შმიდტის სიტყვა კე[ლ]ნის კონგრესზე.

---

# ფელეტონი·

### ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს....

(ესკიზი)

ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს, როდესაც ტურფად შემკული ბუნება სასიცოცხლოდ, სამოქმედოდ იწვევდა გარედ ცხოვრების სიდუხჭირისაგან შეწუხებულ ადამიანს, მამა ზოსიმე გულიანად შეექცა თავისგანვე ნაკურთხს ტაბლას და ზედ ნახევარ თუნგი წითელი ღვინოც დააყოლა.

უკაცრაული მოხსენებაა, მეტისმეტად გაძღა მამა-ზოსიმე. გასივდა, გაგანიერდა, ოფლის ღვარ-თქაფი შუბლზე მოასქდა, ადგომა ველარ მოახერხა; ბრტყელი ქამარი შემოიხსნა და იქვე ტახტზე გადაგორდა.

ძალზე ცხელოდა. სახლი ბუზებით იყო სავსე და მამა ზოსიმეს ფართო და ოფლიან სახეზე მალაყებს გადადიოდენ.

მამა ზოსიმე კი აღარასა გრძნობდა. ღმერთო შეგცოდე, დაკლული ხარივით ხრიალებდა, ბღუოდა, ხვრინავდა... უკვე გულის ძილში იყო. ტან-დაბალი და ჩასუქებული ფოფოდია ელენე მორიდებით სუფრას ალაგებდა, თუმცა იმასაც თვალები ებლიტებოდა. კიტრა-ვაშლივით ლოყებ აბრაწულს, თითქმის ზეზეურად ეძინა. ქმრის ხვრინვამ აცდუნა, ძილი და მოსვენება მოანატრა.

შვიდი—რვა, ერთი ერთმანეთზე ჟიჟმატა ბავშვები დერეფანში გოჭებივით ჩაყრილიყვნენ და გატაცებით კოჭაობდენ.

— სუ...ს! თქვე გასაწყვეტებო, მღვდელსა სძინავს!—მალი მალ გამოსძახებდა ხოლმე ელენე თავის შვილებს და ძალზე გამაძღარს (კიდევ უკაცრავად) ასლოკინებდა.

ზოსიმე კი ისევ ხვრინავდა. ოთახში ბუზები ირეოდენ და მძინარე მღვდლის სახეს, როგორც თაფლის ქილას, ათასობით ეხვევოდენ.

ამასობაში ბავშვებს ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთი ქოჩრით დაითრიეს. ასტყდა საშინელი წივილკივილი. ზოსიმემ ერთი ღონივრად ამოიოხრა, ჩასისხლიანებული თვალები ნახევრად გაახილა, ბუზების მოსაგერებლად ლოყაზე სილა შემოიკრა, ერთი კიდევ ამოიგმინა და მორგვივით მეორე გვერდზე გადატრიალდა. ტახტი დაიზნიქა და ჭაჭაჭუჭი დაიწყო.

ფოფოდიას ეწყინა მღვდლის შეწუხება, ცოცხით დაიფრინა თავისი შვილები, კარები საჩქაროდ მიხურა, რაზა ჩაუგდო და დასამშვიდებლად მამა ზოსიმეს გვერდით წამოგორდა.

უარესად ჩამოცხა. ოთახში ჰაერი დაიხშო. მაგრამ მღვდელსა და ფოფოდიას მაინც ტკბილად ეძინათ. ქვეყანაც რომ გადაბრუნებულიყო, ვერას გაიგებდენ.

უცბათ მამა ზოსიმე გულაღმა ამობრუნდა, საბერველივით დაიქშინა და ღიმილი დაიწყო. იგი ტკბილ სიზმარს მისცემოდა.

სიზმრად ხედავდა კელაპტრებით გავარვარებულ ტაძარს: წვერ მოპარსული და თმა დავარცხნილი გლეხები, ჩითის კაბებსა და „კოფთა—პალიტოებში" გამოწყობილი დედაკაცები, ფეხშიშველა და ჭუჭყიანი ბავშვები—ყველა მოწიწებით შეჰყურებდა ტრაპეზს და მამა ზოსიმეს წირვას ყურს უგდებდა.

გამოუთქმელი გრძნობა აღბეჭდილიყო თითოეულ მლოცველის სახეზე, ვერც ერთი მათგანი ვერ გ[ა]ტყოდათ, რა არის ლოცვა, ვის, ან რისთვის მოუგონიათ იგი, ვისთვის ან რისთვის ლოცულობდენ, მაგრ[ამ] მაინც სულ-განაბულნი იდგენ [...] და შიშითა და საიდუმლოებით აღ[...] სავსე თვალით შეჰყურებდენ ათას[...] ფერადებით აჭრელებულ ხატებს [...] სწორედ სულით გამათრახებულებ[ს] ჰგავდენ.

მამა ზოსიმე კი სასოებათ გ[...] დაქცეულიყო, წარბები შეეკრა, ხ[...] მოებოხებინა და სცდილობდა რ[...] შეიძლება ღრმათა და მკაფიოთ [...] ქვა ის კვერექსი, სადაც მოხსენ[ე]ბულნი არიან ძლიერნი ამა ქვეყა[]ნისა.

აგერ ბარძიმ-ფეშხუმიც გამოასვე[...] ნა, ხალხი პირქვე დაემხო. მხოლოდ [...] რამდენიმე დარჩა ზეზე, მაგრამ ზო[]სიმემ ისეთის მკაცრი თვალით შე[]ხედა, ისეთის ბოხის ხმით წამოიძახ[ა] მეფის სახელი, რომ ურჩნიც მაშინ[ვე] მიწაზე გაერთხნენ.

ზოსიმემ დიდის მოწიწებითა [...] ლმობიერებით ჩამოილოცა, ხოლო როცა გამობრუნდა თავისთვის წა[...] დუდუნა.

წარსულს ეკუთვნის და ჩვენ თუ გავიხსენეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, როგორ ისარგებლა სოციალ-დემოკრატიამ ცხოვრების გაკვეთილებით და შესცვალა თუ არა თავისი მოქმედების ტაქტიკა, ის რომელზედაც გ. პლეხანოვი სწერს: „ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ჩვენ პარტიის მიერ უკანასკნელ თვეებში მიღებულ მოქმედების ტაქტიკა უვარგისია, კვლავ რომ თავიდან ავიცდინოთ ასეთი დამარცხებანი, მოვალენი ვართ, შევცვალოთ იგი“.*) სამწუხაროდ, ქუთაისის კონფერენციის დადგენილებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს ბურბონებსავით „ვერა უსწავლიათ რა“. იმ დროს, როდესაც პარტია ეხლა სულ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ ხალხის თვალში თავის ავტორიტეტი ისევ აღადგინოს, არა სცვლის იმ ტაქტიკას, რომელმაც ბოლო მოუღო მათ გავლენას.

ამ დროს როდესაც ჩვენი ქვეყანა გავერანებულია, ჩვენ უნდა გავიორკეცოთ ენერგია სიმხნევე რომ შრომით ავინაზღაუროთ დიდი დანაკლისი, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ გაღატაკებული ხალხი ვერ შესძლებს განვითარებას, რომ პროგრესი და წინსვლა-წარმატება შეუძლებელია იქ, სადაც ხალხმა არ იცის ხვალ რითი ისაზრდოოს. განა დანაშაული არ არის ამისთანა, დროში უშრომელობის, უმოქმედობის ქადაგება.

გერმანელების აკლების შემდეგ 1870-71 წ. საფრანგეთი მხოლოთ დაუღალავმა მუშაობამ აღამაღლა ხელმეორედ პირველხარისხოვან სახელმწიფოდ მალე. საფრანგეთის მოღვაწეთ რომ იმ ეროვნულ უბედურობის შემდეგ გაფიცვები ექადაგნათ თავის ერისთვის მაშინ ის ეხლანდელ საფრანგეთს კი არა, ესპანიას დაედრებოდა, იმ ესპანიას, რომელმაც თავისი ხალხის უშრომელობის წყალობით ქვეყნის ბატონის როლიდან ჩამოსწია პატარა სუსტ სამეფომდე, რომელსაც არავინ არას ჰკითხავს და ყურს არავინ უგდებს.

ვიმეორებთ, მხოლოთ შრომა, დაუღალავი შრომა აუნაზღაურებს ჩვენ ხალხს მამა—პაპათა ნაღვლარს და გაუკაფავს გზას მომავალ საიმედო ცხოვრებისაკენ.

თრიალეთი.

*) იქვე გვ. 13.

## ახალი ამბები

✦ **დაპატიმრებულნი სამხედრო სამართალში.** მეტეხის ციხეში დაპატიმრებულთ: ოზურგეთის მაზრის მცხოვრებ პეტრე მგელაძეს, ტროფიმე ჭყონიას, ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებ აზნაურს ქაიხოსრო ყრუაშვილს, ქუთაისის გუბ. მცხოვრებ სამსონ ღლონტს და სამხედრო პატიმართა განყოფილებაში მყოფ გიორგი კვაჭაძეს ჩაბარდათ საბრალმდებლო ოქმები. საქმე გადაეცემა სამხედრო სამსჯავროს.

✦ **ჟანდარმთა დივიზიები.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, დიდ ქალაქებში, მსგავსად პეტერბურგისა და მოსკოვისა, შემოღებულ იქნება ჟანდარმთა დივიზიები.

✦ **დაპატიმრება.** ალიხანოვის განკარგულებით ქუთაისში დაუპატიმრებიათ სამხედრო ექიმი გ. ლ. ქორქაშვილი.

✦ **ახალი გაზეთი.** ნაფიც ვექილმა გრ. ნიკ. დიასამიძემ შუამდგომლობა აღძრა თბილისში რუსულ ენაზე ყოველ-დღიურ სრულ პროგრამიან გაზეთის გამოცემის შესახებ. გაზეთს სახელად ერქმევა „ვოლია“.

✦ **ხარჯის მოკრება.** თავ. მინგრელსკი შუამდგომლობს ქუთაისის ადმინისტრაციის წინაშე, რათა გლეხებმა უზღონ მას ის ზარალი, რომელიც არეულობის დროს მიაყენეს. გლეხები ნება-ყოფილობით არ იხდიან, დასძენს თავადი.

✦ **ბოიკოტი.** როგორც გავიგეთ, ქუთაისისა და ბაქოს სოციალ-დემოკრატებს გადაუწყვეტიათ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადონ.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** 9 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლებად თავ. ილია ჭავჭავაძე და ექიმი გედევანიშვილი ამოირჩია.

✦ **დაპატიმრებულ მღვდლის საქმე.** ამ ჟამად დუშეთის ციხეში ზის მღვდელი სვიმონ წერეთელი. მთავრობამ მისს ნათესავთ აცნობა, რომ თუ თავდებად ვინმე დაუდგება, ციხიდან გავანთავისუფლებთო.

✦ **არჩევნები.** გორის მაზრის სოფლებში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები დაიწყო. სოფელ ალის მახლობლად მდებარე ოცამდე სოფელს ორი ამომრჩეველი აურჩევია. სოფ. ალს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

✦ **სახლების ჩხრეკა სურამში.** როგორც გვატყობინებენ, სურამის მცხოვრებთ მოსვენება არა აქვთ, რადგან შიგა-და შიგ სახლებს თითქმის ყოველ დღე ჩხრეკენ. ჩხრეკის დროს ვერას პოულობენ. ამ დღეებში ლუარსაბ და ილია მურვანიშვილის სახლების ქვეშ მიწა გათხარეს, რადგან იარაღი ეგულებოდათ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

✦ **შეტაკება.** როგორც გვატყობინებენ, 9 მარტს შორაპანთან მერკვილაძის რაზმსა და ბოქაულს მახარაძეს, რომელსაც სტრაჟნიკები ახლდა, შეტაკება მოსვლიათ. რაზმიდან მომკვდარა ორი კაცი: ვიქტორ სარდანაძე და გიორგი ქუმბურიძე, მეორე მხრივ მომკვდარა ურიადნიკი სტეპანოვი: ბოქაულს კაზაკები მიშველებიან. მერკვილაძე გაქცეულა.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ხვალ, 12 მარტს, ქართველ მსახიობების მიერ წარმოდგენილი იქნება „შემოსავლიანი ადგილი“ კომ. ხუთ მოქ. ოსტროვსკისა.

✦ **საპოლიციო უბნების შეერთება.** განზრახვაა, რომ მეორე და მეოთხე საპოლიციო უბნები შეაერთონ და ერთს ბოქაულს დაუქვემდებარონ.

✦ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** დარბაზში გუშინ მოხდა თფილ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება თ. ალ. ორბელიანის თავმჯდომარეობით. კრებას უნდა აერჩია ორი წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ. დიდი კამათი გამოიწვია იმ კითხვამ, ვინ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, ყველა თავად-აზნაურებმა თუ მხოლოდ ცენზის მქონეებმა. მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ცენზიან თავად-აზნაურთ შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. კრებამ დაასახელა კანდიდატებათ და კენჭი უყარა ორ პირს, თ. ილია გ. ჭავჭავაძეს და მ. ა. გედევანიშვილს. დიდის ხმის უმეტესობით ორთავე გავიდნენ წარმომადგენლებათ.

✦ **ბაუერის განკარგულება.** გენერალ ბაუერის განკარგულებით გორის და დუშეთის მაზრის მცხოვრებთ ყოველ-დღე ერეკებიან ოლონეცის და უფის გუბერნიებისკენ. ასახლებენ იმ პირთ, რომელთა წინააღმდეგ არავითარი საბუთები არ მოიპოვება და, მაშასადამე, არც შეიძლება მათი სამართალში მიცემა.

✦ **ეგზარხოსი მოდის.** თფილისში მიღებულ ცნობების თანახმად, საქართველოს ეგზარხოსი სააღდგომოთ ჩამოვა თფილისში.

✦ **პატრონების აღმოჩენა.** 9 მარტს ნავთლუღში ჩხრეკის დროს ჯარს აღმოუჩენია ერთი ტომსიკა პატრონებით სავსე.

---

—ცხოვარნო, უნდა გეშინოდეთ ღვთისა და ბატონისა. უფალ არს ღმერთი, უფალ არს ბატონი ჩვენი და...

ზოსიმემ მხარი იცვალა. კუნძიდით გარუჯული და გაბანჯგვლილი ფეხი გადმოუვარდა და ფოფოდიას უცელზე დაეცა.

ოთახში დალაბანდის ხმა გაისმა, მალე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ფოფოდია შეიშმუშნა, მღვდელს კი სიზმარი გადაუბრუნდა.

ხედავს: სადღაც, დახავსებულ შენობის თავზე ზის. შენობა ირყევა, აცაა დაინგრევა.

კანკალებს ზოსიმე, ჩამოსვლა უნდა, მაგრამ ეშინია ძირს არ დაეცეს და კვახივით არ გასქდეს. ხუმრობაა მოდენა კაცის მაღლიდან ჩამოვარდნა? სულ ცოტა 8—9 ფუთი მაინც იქმნებოდა.

—რა მინდა აქ, რაშ?—ბუტბუტებს მამა ზოსიმე—რათ მოვსულვარ, რა უნდა გავაკეთო... მერე რა იქმნება? იქნოს, ამ ჩემ დიაკვანს აქ რაღა უნდა?-ჰკვირობს ზოსიმე და დიაკვანს უბრძანებს:

—ბიჭო, სინკა! მიზურგულე მამაშვილობას, მინდა ჩამოვიდე?...

სინკა კი სდგას გაშეშებული, ფეხსაც არ იცვლის.

—გიზურგულო—რა, შენი ყმა ხომ არა ვარ... მე შენი ხურჯინების ზიდვაც მეყოფა!..

—რასა ნუღნუღებ, ბიჭო, აქაც ხომ დავითნს არა კითხულობ? მიზურგულე მეთქი, შე მამაოხერო, არ გესმის? უყვირის მამა ზოსიმე, მაგრამ დიაკვანმა ერთი შეჰბღვირა და სადღაც გაჰქრა.

შესწუხდა მღვდელი. სიცხის ბუღმა დაარსა, დაარეტიანა, ცხვირის ნესტოები ბუზებით აევსო, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. გმინავდა საცოდავათ და თან კბილებს აკრაჭუნებდა.

— სინკა, დიაკვანო... რაო, ჩემი ხურჯინი? ჰა! ჰო... მფუუ!.. ბუტბუტებდა, ფშვინავდა, გმინავდა ზოსიმე და ისეთი ტანჯვის ფერი დაედო, გეგონებოდათ საცაა სულს განუტევებსო.

კუთავს მღვდელი, შიშითა კანკალებს. დიაკვნის ნაცვლად უცბად ქრისტეს მოყვარე ჯარი შემოესია. ჯარი დარაზმული, გაალმასებული. მათრახებს იქნევენ, ხმლებს აპრიალებენ, თვალებიდან სიბოროტის ნაპერწკლებს აკვესებენ. მათი ლანძღვა გინება და ღრიანცელი ჰაერსა სძრავს.

ზოსიმე შიშის ზარმა აიტანა. უნდა ადგეს—სახლი ზანზარებს, უნდა გაიქცეს, მუხლი აღარ ერჩის.

— ფეხით ჩამოათრიეთ, ფეხით! ჰკა მაგას! რას შესკუპებულა სახლის სახურავზე! დაიღრიალა ერთმა ჯარის კაცთაგანმა და ყველაფერი აირია.

— რათა მცემთ... რა დაგიშავეთ... მთელი ჩემი სიცოცხლე მხოლოდ თქვენთვის ვლოცულობდი, თქვენთვის ვწირავდი, ხალხს თქვენ პატივისცემასა და მორჩილებას ვუნერგავდი გულში...

ხავხავებს მამა ზოსიმე. მაგრამ ყურს არავინ უგდებს. ჯარი ურცხვად დასცინის თავის მლოცველს. პასუხს მათრახის ჟაპი-ჟუპით აძლევს..

მღვდელმა ბორგვასა და გმინვას უმატა.

-- რა დაგემართა, კაცო, ხომ არ ირჩობი!—ნამძინარევის ხმით შეუტია ფოფოდიამ და გაჯავრებით ფერდში ხელი წაჰკრა. ჰა, სიზმარში ვყოფილვარ?.. მადლობა შენთვის უფალო... ვიჯმნი ეშმაკისაგან... ცუდი ყოფილა ძალზე გაძღომა!.. სად არის ჩემი ჯვარი, ოლარი, ხურჯინი.... დიაკვანი... მოსანათლი მყავს. დამგვიანებია!.. ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა მამა ზოსიმემ, ხვნეშით ტახტზე წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა და სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად კარებს მიაშურა. მას თან გაყვა მთელი ხროვა ბუზებისა.

ფოფოდია ხურჯინის გაგონებამაც კი ვერ გამოაფხიზლა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ისევ ტკბილ ძილს მიეცა...

ძილი და სიზმარი იყო დასაწყისი და დასასრული ამ ბედნიერის ცოლქმრის ცხოვრებისა.

ია ეკალაძე.

მაისი 1905 წ.

**შეცდომის გასწორება.** გუშინ ჩვენის პატივცემულ თანამშრომლის გ. ს. გ. წერილიში „სინდისი სამარცხვინო კორექტურული შეცდომა შეგვეპარა მეორე გვერდზე პირველ სვეტის მეთორმეტე სტრიქონში. ფრაზში „აი საკითხი რომელიც თანამედროვე ცხოვრებამ ჩვენს ერს (!?) და სხვა კითხვა-გაკვირვების ნიშანი მეტია.

---

## ნარკვევი.

• ჩვენებურ ჟურნალ.—გაზეთებიდან.

გაზ. „თფილისის ფურცელი“ (10 მარ.) ცდილობს დაარღვიოს ჩვენი აზრი, რომ ეროვნული ავტონომია საჭიროა ერის ყოველ-მხრივ განვითარებისათვის. ავტორის აზრით ეროვნული ავტონომიით ვერაფერს ვერ მოიგებს მშრომელი ხალხი, პროლეტარიატიო, არამედ მხოლოდ მდიდრები მოიგებენო. სამწუხაროდ ავტორი არაფრით არ ასაბუთებს თავის აზრს და გამოთქვამს დოგმატურად, როგორც უცილობელ ჭეშმარიტებას. განვიმეორებთ კიდევ ჩვენს მოსაზრებას. ავტონომია ასუსტებს სამხედრო ძალას, ცენტრალიზმი აძლიერებს სამხედრო ძალა კი ხელ-საყრელია მდიდრებისთვის მუშათა დასაჩაგრავად. მაშასადამე, ცენტრალიზმის წყალობით მოგებული იქნება მდიდარი, ავტონომიური წეს-წყობილება კი გაუადვილებს მუშებს ბრძოლას მდიდრებთან. მოვითხოვთ „თფილისის ფურცლის“ ავტორისაგან, ცალიერ სიტყვებს ნუ დასჯერდება და საბუთები დაუპირდაპიროს საბუთებს. თუ ასე არ მოიქცევა, კამათი უნაყოფო იქნება.

ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა ჩვენი რევოლიუციონური შეცდომები. ჩვენი ფიქრით, ყვირილი სჭარბობდა ძალას, ნამდვილ მომზადებას. კრიტიკული თვალით შევხედოთ ბრძოლის ტაქტიკას. ეს აუცილებელია, თუ ისტორიული შეცდომები არ აღვიარეთ, შეუძლებელი იქნება გამარჯვება შემდეგში. „სოვრემენნიკს“ (10 მარ.) კი გონია, ვითომ ჩვენ სრულიად უარ-ვყოფთ მოძრაობას და ვწუხართ, რომ ჩვენმა ერმა გამოუცხადა ბრძოლა არსებულ რეჟიმს. ჩვენს მოძრაობაში ავტორი ვერაფერ აჩქარებას და შეცდომას ვერ ხედავს. ვკითხავთ ავტორს, ნუ თუ აჩქარება და შეცდომა არ იყო შეიარაღებულ აჯანყებაზე ყვირილი მაშინ, როდესაც იარაღი არ გვქონდა?! ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ რუსეთის საერთო მოძრაობის ფერხულში არ უნდა ჩავბმულიყავითთქო. ვამბობთ მხოლოდ, რომ ყვირილი მეტი იყო საქმეზე,

„ღრმად ჩაუკვირდით საქმესო“, გვასწავლებს გაზეთი. ნათქვამიდან სჩანს, რომ სრული უფლება გვაქვს უკანვე დავუბრუნოთ ლიბერალურ გაზეთს მისივე დარიგება და თან ვურჩიოთ, კარგად წაიკითხოს ხოლმე დაწერილი.

---

## ბ. კოტინს.

„ახალი დროება“ დღიდან გამოსვლისა მოსვენებას არ აძლევს გაზეთად ქცეულ აფიშას, „პატარა გაზეთს“.

იმ დღიდან ამ კუდქიცინა ფინიამ გაება ყეფა, ვიღუპებით, „ახალი დროება“ გამოდისო და თან, როგორც შეშვენის მეაფიშეს, გაჰკივის: „ჩვენი გაზეთი ახალი აზრებით გამსჭვალულია, ახალი გზით მიმავალი და არა ისეთი, როგორც „ახალი დროება“ მარტო სახელით ახალი, აზრებით ძველი და თან ხმა მაღლა იწვევს სიროჯებს: ახალი ტრანსპორტი მივიღეთ... რუსეთიდან, შამობრძანდით, თქვენ გენაცვალეთ, თქვენი ბედნიერი თვალით ნახეთო.

საბრალო ჯამბაზო კოტინი! მესმის შენი წუწუნი, გამოწვეული კუჭის და კასტრულების ინტერესებით, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენ ვერაფრით გიშველით!

წყეულიმც იყოს იგი დღე, იგი საათი, ის წამი, როდეს შენ თავს დაგატყდა ასე მოულოდნელად სამხედრო წესი, დაგიკეტა ყველა კაფე შანტანები და უმწეოდ გამოგაგდო ქუჩაში! იმ დღიდან დაგეკარგა მშვიდობა სულისა და არ იცი, სად წახვიდე, ვის აუწყო გაჭირვება კუჭისა! უბედურებით დაბრმავებულმა ეს ქვეყანაც სამასხარო სახლად წარმოიდგინე, სადაც შეგიძლია განაგრძო ძველი ხელობა, ჯამბაზობა. შეცდი საბრალო! უეცრმა განიზრახე საზოგადოების ხელმძღვანელობა, „გოგო აფრანდებში“ აღზრდილმა პატრიოტების და სოფაქიზის ქადაგება, მაგრამ დაგავიწყდა საბრალო, რომ შუბლზე ცეცხლის დაღი გაზის ძველი ხელობისა! ჰმ!!. კოტე მესხი ღ ახალი აზრი! — როგორ მოგწონს, მკითხველო!

რა დროს მოვესწარით, ვინ კისრულობს უბედურებაში ჩავარდნილ ხალხის ხელმძღვანელობას და ჩვენ ვინ გვიკიჟინებს ძველი აზრების ქადაგებას! ამისთანა დროს იტყოდენ ძველად: „ვირიბჭე იჯდეს, ჯორი შვილს ზრდიდეს, მგელი თავს აღგეს ჭიანურითო“...

ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ ბ. მესხს, აიკრას თავის ბარგი ბარხანა, ისევ გაბეროს გუდა-სტვირი და ხელი მოკიდოს ძველ ხელობას. ის მას არ ღალატობს, ნურც ბ. მესხი უღალატებს მას. რაც შეეხება „ახალი დროება“ს, მან კარგათ იცის თავის დანიშნულება და გზაც გაკვლეული აქვს.

ერთხელ და სამუდამოდ ვუცხადებთ ბ. მესხს, რომ აზრების კამათში მას „ახალი დროება“ არას დროს არ გამოყვება, რადგან დარწმუნებულია: არა რაისაგან არა რა გამოვა.

ვინ.

---

## კორესპონდენცია.

**ბათუმი 7 მარტი.** „ახალ დროებაში“ მოთავსებულმა საკუთარი კორესპონდენტის დეპეშამ 2 მარტის თარიღით, ქუტაისის გუბერნიაში აგრარულ გაფიცვის შესახებ აქაურ საზოგადოებაში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. უმეტესობა იმ აზრისაა რომ ამ დადგენილების განხორციელება ახლა შეუძლებელიაო და რომ განხორციელდეს კიდეც, დიდ უბედურობას გამოიწვევსო.

ბათუმს ცოტათი სიცოცხლე დაეტყო ერთი პატარა ქარხანა სიდერიდის უკვე გაიხსნა. დიდი იმედი აქვთ რომ მანთაშოვიც ჩქარა დაიწყებს მუშაობასაო.

დღეს ჯარმა დემონსტრატიულად კიდევ გაიარა მარინის პროსპექტი ორის ზარბაზნით.

ახალ გაუგზანილ ქართველ ჯარის კაცებს აქედან ხარკოვში აგზავნიან. დღეს აქაურმა სამსამართლოს ბოქაულმა გამოაცხადა გაზეთი „ბათუმი“-ს რედაქცია და სტამბა საერო ვაჭრობით იყიდებაო.

აქაურ ნავთ სადგურებში საქმე ჯერ კიდევ ძრიელ გდახათ მიდის ევროპიელი გემები ძალიან იშვიათად მოდიან.

გულდაწყვეტილი.

---

# დეპეშები

(პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტო).

**ვლადივოსტოკი.** 9 მარტი. გუბერნატორმა 6 კვირით გასაზღვრა ვლადივოსტოკში იმ ებრაელთა დარჩენაა, რომელთაც არა აქვს უფლება ყველგან ცხოვრებისა.

**მარსელი.** 9 მარტი (ჰავასი) სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კავშირმა საყოველთაო კენჭი უყარა საზოგადო გაფიცვის კითხვას.

**ლეკე.** (ჰავსი) ანცინის რაიონის მადნის მუშათა დელეგატებმა დაადგინეს საერთო გაფიცვა.

**პეტერბურგი.** 9 მარტი. 15 მარტს დანიშნულია სენატში აღესის ყოფილ გრადონაჩალნიკის ნეიდგარტის და მინსკის გუბერნატორის კროლოვის საქმეები. „რუსკოე ბოგატსტვომ“ დაარსა მეგაზეთეთა საკუთარი არტელი. რედაქციის ცნობებით ხელი მოწერა კარგათ წარმოებს, განსაკუთრებით პროვინციებიდან.

**ხარბინი.** 9 მარტი. ჩინელებსა და იაპონელებს შორის დამოკიდებულება თან და თან მწვავდება სამხრეთ მანჯურიაში. იაპონელები არ ცნობენ ჩინეთის კანონებს და მოხელეებს. ჩინელები ყიდულობენ ხორბალს და რუსის ცხენებს.

**მოგილევი.** 8 მარტ. ბიხოვის მაზრაში აირჩიეს 4 მღვდელი, 20 გლეხი, აზნაური და მოქალაქე. კლიმოჩის მაზრაში 3 მღვდელი, ხუთი მემამულე, ჩაუსის მაზრაში 3 მღვდელი, 35 გლეხი და მოქალაქე, ჩერნიკოვის მაზრაში 32 გლეხი, 3 მღვდელი.

**რიგა.** 9 მარტ. დროებითმა სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა იარაღის საწყობის გამართვისათვის ლიბავაში ანდერსენს, სპეკს და მოტენბერგს სიკვდილით სასჯელი. ულტენსტოპის მაზრაში გაგზავნილ იქმნენ კომისარი და მაზრის უფროსი, რომელნიც სთხოვენ მცხოვრებთ ათი დღის განმავლობაში წარმოადგინონ ურიადნიკის მკვლელნი და სოფლის მწერლის დამჭერელნი, წინააღმდეგ შემთხვევაში 3000 მან. გადახდებათ.

**პარიჟი.** 9 მარტ. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონი, რომლითაც მშვიდობიანობის დროს ასპობს მეორე ინსტანციის სამხედრო სასამართლოები.

**ფელდლისია.** 8 მარტ. ღამით ვიღაც ბოროტმოქმედებმა შეამტვრიეს თორის კარები დახიეს წიგნები და დაანგრიეს საკურთხეველი.

**სამარა.** 8 მარტი. სამარის მაზრაში, ნოვომეიკინის მახლობლად, საერობო დარაჯის ტანისამოსში გამოწყობილი ბოროტმოქმედები თავს დაეცნენ სახელმწიფო ფოსტას, მოჰკრეს პოჩტალიონი და მეეტლე და გაიტაცეს 38 ათასი მანეთი.

**ეკატერინოსლავი,** 9 მარტი. ბრიანსკის ქარხნის მუშებმა კარგა ბჭობის შემდეგ უარ ყვეს ბოიკოტი. 5,000 მუშამ ამოირჩია პროგრესიულ მიმართულების რწმუნებული.

**ეკატერინბურგი,** 9 მარ. ადგილობრივ მოღვაწეთაგან არავინ ისეთი, რომლის არჩევა შეიძლებოდეს სახელმწიფო საბჭოში, კანდიდატად ნიშნავენ სატახტო ქალაქებში და საზღვარ-გარედ მცხოვრებ ქარხნების პატრონებს.

**პეტერბურგი,** 9 მარტი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის წესთა შესახებ, რომელიც შეტანილ უნდა იქმნას სახელმწიფო საბჭოსა და დუმაში 1 ოქტომბერს და განხილულ იქმნას 1 დეკემბერს. სხვა და სხვა მოსაზრება ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ გადაეცემა განსახილველად საბჭოს და დუმის შეერთებულ კომისიას. საიმპერატორო სახლეულობის ხარჯთ-აღრიცხვა ვერ იქნება განხილული.

დღეს გენერალი ლინევიჩი წარუდგა მეფეს. ცარსკოე სელოში გაემგზავრა სმოლენსკის გუბერნიის ელნინსკის მაზრის დეპუტაცია, რომელსაც მეთაურობს პორუჩიკი რამსკორსაკოვი. 1 (?) მარტს სახელმწიფო საბჭოში დანიშნულია სხდომა იმ პირთა მატერიალურ შემწეობის განსახილველად, რომელნიც დაზარალდენ იმპერიაში მომხდარ არეულობების დროს. გურკოს თავმჯდომარეობით არსდება კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს წესები იმ პირთა პასუხის მგებლობაზე რომელნიც დამნაშავედ იქნებიან ცნობილი მემამულეთა და მწარმოებელთა განადგურებაში. კომისიაში მონაწილეობას იღებენ ფინანსთა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენელნი, მიწათმოწყობის მთავარ გამგეობის და სახელმწიფო კონტროლისა.

---

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. ლ. ბახტაძე

სტამბა ა. ვ. ქუთათელაძისა, ფრეილინის ქუჩა, № 12.